ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3561051

ნომერი: AR1542190

თარიღი : 20.09.2017

გაცემის თარიღი : 25.09.2017

გაცნობის თარიღი : 25.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსანდრე პუშკინი , N 21 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსანდრე პუშკინი , N 21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გოგოძე პ/ნ 01008014709
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 32 ბ. 42

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. მისო რიკო ექსპრესი კოდი: 205034539

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 20 სექტემბრის AR1542190 განცხადება. გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- თუ N01.18.03.018.008.01.001ა საკადასტრო ერთეული, რომლის ამონაწერიც არის ასევე წარმოდგენილი, არის საპროექტო, მისი ამონაწერიც საჭიროა მიმაგრებული იქნეს რუკაზე. ამასთან, წარმოსადგენია ნინო ნაზირიშვილისა და ლალი ნაზირიშვილის თანხმობა. დავით წიქარიძის თანხმობაში მითითებული N01.18.03.018.003.01.502 საკადასტრო არ წარმოადგენს ქონების მართვის სააგენტოსგან იჯარით აღებულ ფართს და არის ალექსეი ჩარმადოვის, დავით წიქარიძის, გიორგი მირაშილისა და დიზავარდი მირაშვილის საკუთრება და თუ აღნიშნული ფართის გამოყენება ხდება, მაშინ წარმოსადგენია ყველა მათგანის თანხმობა
- საპროექტო სამუშაოები ითვალისწინებს რეკლემის მოწყობად და ვიტრაჟის რეკონსტრუქციას, რასთანაცა დაკავშირებით დადამატებელია შესაბამისი ნომენკლატურები: "აბრებისა და რეკლამების განთავსება", "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი"
- "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.016წ. N14-39 დადგენილების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, "განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს". წარმოსადგენია აღნიშნულ ნორმასთან შესაბამისობის დასაბუთება

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.